# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/49

ქ. თბილისი 23 აპრილი 2024 წ.

**2023-2024 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის შესახებ:**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის , სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის ზაზა ბუაჩიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 აპრილის N 01-05-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2023-2024 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ, შემდეგი კატეგორიის, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის (გარდა მაგისტრატურის მეორე კურსის და დოქტორანტურის ყველა კურსის) სტუდენტები:
   1.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;
   1.2. ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის (3 წლამდე) დედები;
   1.3. საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეები;
   1.4. სტუ-ის სპორტული ნაკრების წევრები;

1.5. სტუ-ის შემოქმედებით ან სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი, და ა.შ) გაერთიანებული სტუდენტები.

1.6. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში (პროფილით /სპეციალობით) და სახელმწიფო სტრუქტურებში (მუნიციპალიტეტში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებული, სტუ-ის რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფნი;

1.7. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოების წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები;

1.8. ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით, პერსონალურად შესაძლებელია სხვა კატეგორიის სტუდენტის გადაყვანა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმაზე.

2. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის მიზნით სტუდენტმა 2024 წლის 24 აპრილიდან 17 მაისის ჩათვლით შესაბამისი ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია:

2.1. ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100;

2.2. 3 წლამდე ასაკის ბავშვის დაბადების მოწმობა;

2.3. შესაბამისი ფედერაციის, კლუბის (უმაღლესი ლიგა), სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა ოფიციალურ ბლანკზე, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

2.4. ცნობა სამსახურიდან, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

2.5. ხელფასის ბოლო 3 სამი თვის ამონაწერი.

3. ფაკულტეტის მენეჯერი უზრუნველყოფს სტუდენტის განცხადებისა და სათანადო დოკუმენტაციის მიღებას, რის შემდეგაც მენეჯერის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი გადაეცემა სტუდენტური სერვისების ცენტრს და შიდა აუდიტის სამსახურს შესამოწმებლად, ხოლო შემდეგ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს;

4. სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უზრუნველყოფს რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას;

5. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**